



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №34

აბაშა, 2019 წლის 18 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით, საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. მოწონებულ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება „აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით, საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ“, თანდართული დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. #247);
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიტაშვილი